



საქართველოს  
საზოგადოებრივი  
ჯანდაცვის  
ცენტრი

# ბავშვის ჯანმრთელობის და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD)

ოქმი:

დაკითხვის გზამკვლევი  
განახლებული ვერსია



# ბავშვის ჯანმრთელობის და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) ოქმი: დაკითხვის გზამკვლევი

## 2014 წლის განახლებული ვერსია

ბავშვის ჯანმრთელობის და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) ოქმი: დაკითხვის გზამკვლევის 2014 წლის განახლებული ვერსია ქართულად ითარგმნა საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მატრა პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „ბავშვთა დაცვის სისტემის გაძლიერება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი Defence for Children International-თან თანამშრომლობით. თბილისი, 2020 წ.



Ministry of Foreign Affairs of the  
Netherlands

## წინასიტყვაობა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის სტრუქტურული ოქმების გამოყენებამ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გააუმჯობესა ბავშვის საგამოძიებო ინტერვიუების ხარისხი. ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის სტრუქტურულ ოქმებს შორის ყველაზე ფართო გამოყენება აშშ -ს ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) საგამოძიებო ინტერვიუს სტრუქტურულმა პროტოკოლმა (ოქმმა) პოვა. კვლევებით დადასტურებულია, რომ NICHD-ის პროტოკოლის დახმარებით ინტერვიუს ხარისხი საგრძნობლად უმჯობესდება. მსგავსი შედეგი არცერთ სხვა მეთოდს არ მოუტანია.

NICHD პროტოკოლი მრავალწლიან კვლევაზე დაფუძნებული ინსტრუმენტია, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის შემეცნებით და კომუნიკაციურ უნარებს და კითხვის დასმის სპეციფიურ ტექნიკებს, რაც ზრდის ბავშვის მიერ წარსულის გამოცდილების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობებს. NICHD სტრუქტურული პროტოკოლი დამკითხველს/გამომკითხველს საშუალებას აძლევს, მსხვერპლი/მოწმე ბავშვისგან სანდო და ხარისხიანი ინფორმაცია მიიღოს. ეს კი იმის გარანტიაა, რომ დამნაშავეს ან სავარაუდო დამნაშავეს მიმართ ადეკვატური სამართლებრივი ზომები იქნება მიღებული.

NICHD პროტოკოლი შემუშავებულია პროფესორ მაიკლ ლემბის, იელ ორბახის, ირიტ ჰერშკოვიცის და კოლეგების მიერ. სტანდარტული NICHD პროტოკოლი დამტკიცებულ იქნა 2007 წელს, თუმცა პროტოკოლის ეფექტიანობაზე დაკვირვება და კვლევა ამით არ დასრულებულა.

მართალია, პროტოკოლი გამოკითხველს მოსაუბრის ნდომის მოპოვებაში ეხმარება, თუმცა ის მაინც არ იძლევა ზუსტ პასუხს, რატომ არიან თავს ზოგიერთი ბავშვი მომხდარზე საუბარს<sup>1</sup>. ეს მნიშვნელოვანი თემაა, ვინაიდან ძალადობის მსხვერპლთა მესამედზე მეტი დაკითხვის დროს არ ამჟღავნებს ძალადობის ფაქტს<sup>2</sup>, თუნდაც ძალადობის დამადასტურებელი საბუთი არსებობდეს<sup>3</sup>.

ზოგიერთმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ სტანდარტული პროტოკოლი უფრო სასარგებლოა, როდესაც ბავშვები "აქტიური გამჟღავნებლები" არიან, ანუ როდესაც ბავშვებმა მშობლებს ან მასწავლებელს უკვე განუცხადეს სექსუალური ძალადობის შესახებ<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Pipe, Lamb, Orbach, & Cederborg, 2007

<sup>2</sup> Hershkowitz, Horowitz, & Lamb, 2005, 2007

<sup>3</sup> Hershkowitz et al., 2006; Leander 2007

<sup>4</sup> Faller and Everson 2012

მკვლევარების ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამომკითხველის უნარებს გადალახოს ბავშვის რეზისტენტულობა, საუბრის სურვილის არქონა, თუმცა ბოლო დროს ჩატარებული კვლევები უფრო მეტად ფოკუსირებულია იმ ბავშვთა სოციალურ-ემოციური მხარდაჭერის გაძლიერებაზე, რომლებიც უხალისოდ და რთულად ერთვებიან გამოკითხვის პროცესში<sup>5</sup>.

როგორც ჩანს, ინტერვიუერის დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ბავშვების ინტერვიუს დროს, რომელთაც არ სურთ ლაპარაკი. ამიტომ, ჰერშკოვიცა და კოლეგებმა აღიარეს NICHD სტანდარტული პროტოკოლის გადახედვის საჭიროება<sup>6</sup> და შეიმუშავეს პროტოკოლის განახლებული ვერსია. განახლებული ვერსიის მიზანია გაზარდოს ბავშვის ნდობა და თანამშრომლობის სურვილი. ასევე, ყურადღება გამახვილდა გამომკითხველის მეშვეობით ბავშვის სოციალურ - ემოციურ მხარდაჭერაზე.

NICHD პროტოკოლის განახლებულ ვერსიაში (2014) შეცვლილია გამოკითხვის ფაზების თანმიმდევრობა და ძირითადი წესების გაცნობას წინ უსწრებს ურთიერთობის დამყარების ფაზა. გარდა ამისა, გამომკითხველებს მეტი შესაძლებლობა ეძლევათ ბავშვთან ურთიერთობის დასამყარებლად და ბავშვის თხრობისთვის წასახალისებლად.

NICHD პროტოკოლის განახლებულმა ვერსიამ გამოცდა გაიარა ფართომასშტაბიანი კვლევის ფარგლებში, იზრაელში. კვლევამ დაადასტურა, რომ პროტოკოლის განახლებული ვერსია უფრო ეფექტურია ისეთ ბავშვებთან მუშაობსას, რომლებიც უხალისოდ და რთულად ერთვებიან გამოკითხვის პროცესში, ვიდრე ამის შესაძლებლობას NICHD სტანდარტული პროტოკოლი იძლევა<sup>7</sup>. ამ კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დაკითხვა/გამომკითხვის პროცესში ბავშვის ემოციური მხარდაჭერა არის ძალიან მნიშვნელოვანი და ხელს უწყობს ძალადობის შესახებ ბავშვის მიერ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მოწოდებას<sup>8</sup>.

წინამდებარე პუბლიკაცია შედგება შემდეგი თავებისგან:

1. ბავშვის ჯანმრთელობის და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) ოქმი: დაკითხვის გზამკვლევის 2014 წლის განახლებული ვერსია
2. დანართი 1: ხატვის გამოყენება ურთიერთგაგების დასამყარებლად
3. დანართი 3: მხარდამჭერი, არაჩამაგონებელი ტექნიკები

<sup>5</sup> Ahern et al. [2014](#); Hershkowitz et al. [2013](#).

<sup>6</sup> Hershkowitz et al. [2014](#)

<sup>7</sup> ibid

<sup>8</sup> ibid

ბავშვის ჯანმრთელობის და ადამიანის განვითარების  
ეროვნული ინსტიტუტის (NICHD)

ოქმი:

დაკითხვის გზამკვლევი

2014 წლის განახლებული ვერსია

ა. შესავალი

მე მქვია [სახელი]. დღეს არის [თარიღი] და ახლა [საათი]-ა. გამოკითხვას ვუტარებ [ბავშვის სახელი]-ს [ადგილმდებარეობა]-ში .

*დარწმუნდით, რომ ჩამწერი ჩართულია.*

გამარჯობა, [ბავშვის სახელი]. მიხარია რომ დღეს შევხვდით, როგორ ხარ?

მე მქვია \_\_\_\_\_ და ჩემი სამუშაოს ნაწილია ვესაუბრო ბავშვებს იმაზე, რაც მათ თავს გადახდათ. როგორც ხედავ, ამ ოთახში არის ვიდეო-კამერა. იმისათვის, რომ ყველაფერი დავიმახსოვრო, რასაც მეტყვი, მისი საშუალებით ჩვენ საუბარს ჩავიწერ. ზოგჯერ, რაღაცები მავიწყდება, ვიდეო კი, საშუალებას მაძლევს რომ შენ მოგისმინო და არ დამჭირდეს ყველაფრის ხელით ჩაწერა.

*შესავალ ფაზაში, მართებულია კეთილგანწყობის გამოხატვა:*

თავს კომფორტულად [მოხერხებულად] გრძნობ?

შემიძლია რამე გავაკეთო იმისთვის, რომ თავი უფრო კომფორტულად [მოხერხებულად] იგრძნო?

## **ბ. ურთიერთგაგების დამყარება და თხრობაში გავარჯიშება**

**ბ.1 [ბავშვის სახელი], ახლა მინდა რომ უკეთ გაგიცნო. მომიყევი, რისი კეთება გიყვარს.**

*დაელოდეთ ბავშვის პასუხს.*

*თუ ბავშვი გპასუხობთ, გამოხატეთ მადლიერება და ქცევა განუმტკიცეთ:*

**მადლობა რომ გამიზიარე, ეს მეხმარება შენს უკეთ გაცნობაში.**

**მიხარია, რომ შენს შესახებ უფრო მეტს ვიგებ.**

*გადაინაცვლეთ ბ.3-ზე, თუ თვლით, რომ ბავშვი უნდა გადავიდეს თხრობის გავარჯიშების ნაწილზე.*

*თუ ბავშვი არ გპასუხობთ, მოკლე პასუხს გცემთ, ან უჭირს მოყოლა, უთხარი:*

**მესმის, რომ პირველად შევხვდით და ძალიან მინდა უკეთ გაგიცნო.**

**[ბავშვის სახელი], მიხარია რომ დღეს შემიძლია გესაუბრო.**

*გადაინაცვლეთ ბ.2 -ზე, თუ თვლით, რომ ურთიერთგაგების დამყარებას, კიდევ უფრო მეტად სჭირდება განმტკიცება.*

*თუ, ბავშვი არავერბალური ნიშნებით გამოხატავს, რომ თავს გარიდებთ ან რეზისტენტულია (მაგალითად, გარიდებთ მზერას), დაუყოვნებლივ მიმართეთ:*

**[ბავშვის სახელი], შემომხედე.**

**[ბავშვის სახელი], განაგრძე და ჩემთან უფრო ახლოს დაჯექი.**

**[ბავშვის სახელი], ვხედავ რომ შენ [ტირი, დუმნარ], მომიყევი რა მოხდა, რომ შენი დახმარება შევძლო.**

**[ბავშვის სახელი], მადლობა რომ საშუალება მომეცი დღეს მოგისმინო. გთხოვ, მეტი მომიყევი იმის შესახებ, რაც შეგემთხვა.**

**ბ.2 [ბავშვის სახელი], ნამდვილად მინდა შენი უკეთ გაცნობა. მსურს მეტი გავიგო**

იმის შესახებ, თუ რისი კეთება გიყვარს [სკოლაში, შესვენების დროს, სკოლის შემდეგ].

*დაელოდეთ პასუხს*

*თუ ბავშვი ისევ თავს გარიდებთ ან რეზისტენტულია:*

*შესთავაზეთ, ისეთი ნეიტრალური თემა, რომელსაც ინტერვიუს დაწყებამდე შეარჩევთ (მაგალითად, ინტერვიუს დაწყებამდე, შესაძლოა აღმზრდელმა მოგაწოდოთ ინფორმაცია იმ აქტივობების შესახებ, რომელიც ბავშვს მოსწონს):*

**გავიგე შენ გიყვარს [ჰობი, აქტივობა]. მეტი მომიყევი [ჰობი, აქტივობა] შესახებ.**

*ჰკითხეთ განსხვავებული ნივთების შესახებ (მაგალითად, ჩაცმულობასთან დაკავშირებით):*

**როგორც ვხედავ, [უნიკალური ნივთი, მაგალითად, საფეხბურთო კლუბის მაისური] გაცვია. მეტი მომიყევი [ნივთი]-ს შესახებ.**

*შესთავაზეთ ბავშვს ხატვა (იხილეთ “ურთიერთგაგების დასამყარებლად ხატვის გამოყენება” დანართი 1):*

**[ბავშვის სახელი], გინდა დახატო რაიმე [რისი კეთებაც გიყვარს, რაიმე სახალისო რაც მოხდა]? აქ შენთვის ფანქრები და ფურცლები გვაქვს.**

**ბ.3. [ბავშვის სახელი], ახლა უფრო მეტი მომიყევი [აქტივობის შესახებ, რომელიც ბავშვმა უკვე ახსენა].**

*მოერიდეთ სატელევიზიო გადაცემებს, ვიდეოებს და ფანტაზიებს.*

*დაელოდეთ პასუხს.*

**ბ.4. [ბავშვის სახელი], მომიყევი რაიმე სახალისო ამბავი, რომელიც [სკოლაში, საბავშვო ბაღში] გადაგხდა.**

**ბ.5. მომიყევი [ის, რაც ბავშვმა აღნიშნა] შესახებ.**

განსხვავებულ თემებზე სასაუბროდ, მრავალფეროვანი ღია მიმართვები გამოიყენეთ; ღია მიმართვის რომელიმე ტიპი უნდა ფოკუსირდებოდეს შინაგან მოცემულობაზე: აზრებზე, გრძნობებზე, შეგრძნებებზე ან ემოციებზე.

**ბ.6. შენ მომიყევი** [მხიარული, სასიამოვნო, სახალისო] ამბავი, რომელიც თავს გადაგხდა. ახლა, მომიყევი რაიმე არასასიამოვნო ამბავი, რომელიც შენ შეგემთხვა [სკოლაში, საბავშვო ბაღში].

მნიშვნელოვანია! არ აღნიშნოთ ადგილი, რომელშიც სავარაუდო ძალადობის ფაქტი მოხდა.

**ბ.7. გთხოვ, უფრო მეტი მომიყევი** [იმის შესახებ, რაც ბავშვმა ახსენა]. გამოიწვიეთ ბავშვი სასაუბროდ ნახსენები თემის შესახებ მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად; რომელიმე ღია მიმართვა უნდა ფოკუსირდებოდეს აზრებზე, გრძნობებზე, შეგრძნებებზე ან ემოციებზე.

*თუ, ბავშვი შემაშფოთებელ ინფორმაციას იძლევა, მხარდამჭერი ფრაზების გამოყენებით, მოკლედ შეისწავლეთ ინფორმაცია; შეიძლება, გინდოდეთ გადაამოწმოთ, აქამდე ხომ არ განუცხადებია მომხდარის შესახებ:*

**შენ მომიყევი** [შემაშფოთებელი/სამწუხარო ამბავი]. ამის შესახებ, ვინმე უფროსს მოუყევი?

*თუ ბავშვი გიპასუხებთ “არა”-ს, უთხარი: გინდა მოგეხმარო, რომ ვინმეს მოუყევი?*

**ბ.8.** [ბავშვის სახელი], **შენ მომიყევი** [სასიამოვნო შემთხვევა, რომელიც უკვე აღნიშნა] შესახებ და [არასასიამოვნო ამბავი, რომელიც უკვე აღნიშნა] შესახებ და გამიზიარე შენი [ემოციები, აზრები] (იმ შემთხვევაში, თუ გაგიზიარათ). მადლობა, რომ მომიყევი. მნიშვნელოვანია იცოდე, რომ ჩემთან ნებისმიერ თემაზე შეგიძლია საუბარი, კარგზეც და ცუდზეც.



## გ. ძირითადი წესების ახსნა და გავარჯიშება

*მოარგეთ კითხვები ბავშვის განვითარების დონეს.*

გ.1. [ბავშვის სახელი], მინდა უკეთ გაგიცნო, ამიტომ დღეს ყველა ტიპის კითხვას დაგისვამ. თუ, ისეთ რამეს გკითხავ, რასაც ვერ გაიგებ, უბრალოდ თქვი: “[ინტერვიუერის სახელი]”, „ვერ გავიგე“ კარგი, [ბავშვის სახელი]?

*პაუზა*

თუ, მე ვერ გავიგებ შენ ნათქვამს, გთხოვ რომ ამიხსნა.

*პაუზა*

თუ ისეთ რამეს გკითხავ, რაზე პასუხიც არ გაქვს, უბრალოდ მითხარი, “არ ვიცი”. მაშ ასე, [ბავშვის სახელი] თუ მე გკითხავ, [მაგალითად, რა მივირთვი დღეს საუზმეზე], რას მიპასუხებ?

*დაელოდეთ პასუხს*

თუ, ბავშვი იტყვის “არ ვიცი”, თქვით: **სწორია. არ იცი**, [ბავშვის სახელი] ხომ ასეა?

თუ, ბავშვი ცდილობს გამოიცნოს, თქვით: [ბავშვის სახელი], არა, შენ არ მიცნობ და [მაგალითად, შენ არ იყავი ჩემთან ერთად დღეს დილით, როდესაც მე ვსაუზმობდი], შესაბამისად, შენ არ იცი. როდესაც პასუხი არ იცი, თქვი რომ არ იცი, გთხოვ, ნუ შეეცდები გამოცნობას.

*პაუზა*

მაგრამ, თუ იცი ან გახსოვს, ძალიან მნიშვნელოვანია რომ მითხრა, კარგი [ბავშვის სახელი]?

გ.2. და თუ ისეთ რამეს ვამბობ რაც სწორი არ იქნება, უნდა მითხრა. კარგი [ბავშვის სახელი]?

*დაელოდეთ პასუხს*

თუ მე ვიტყვი, რომ შენ 2 წლის გოგონა ხარ [როცა გამოკითხვას უტარებთ, მაგალითად, 5 წლის ბიჭს], რას მეტყვი?

*თუ ბავშვი მხოლოდ უარყოფს, მაგრამ არ გისწორებთ ნათქვამს, თქვით:*

რას მეტყვი, თუ მე შეცდომით 2 წლის გოგონას დაგიძახებ [როცა გამოკითხვა უტარდება, მაგალითად 5 წლის ბიჭს]?

*დაელოდეთ პასუხს*

თუ, ბავშვი სწორ პასუხს იძლევა - წაახალისეთ: **სწორია**, [ბავშვის სახელი]. **ახლა იცი, რომ თუ რაიმე შემეშლება, ან რაღაცას არასწორად ვიტყვი, უნდა მითხრა.**

*პაუზა*

შეუსწორეთ მცდარი/არასწორი პასუხი: **არა**, [ბავშვის სახელი], **შენ არ ხარ** [არასწორი/მცდარი ასაკი], **შენ ხარ** [სწორი/ნამდვილი ასაკი]. **მაშ ასე, თუ მე ვიტყვი, რომ შენ ხარ** [არასწორი/მცდარი სქესი], **რას მეტყვი?**

წაახალისეთ ბავშვი, თუ ის სწორ/მართებულ პასუხს გაგცემთ. შეუსწორეთ მცდარი/არასწორი პასუხი და ისევ გაივარჯიშეთ:

**მაშ ასე, თუ მე ვიტყვი რომ შენ ფეხზე დგახარ, რას მიპასუხებ?**

*დაელოდეთ პასუხს*

**კარგი.**

[ბავშვის სახელი], **ახლა შენ გესმის, რომ თუ მე რაიმეს არასწორად ვიტყვი, უნდა შემისწორო და მითხრა ის, რაც მართალია.**

გ.3. ჩემი სამუშაოს ნაწილია გავესაუბრო [ბავშვებს, მოზარდებს] იმაზე, რაც მათ შეემთხვათ. მე ბევრ [ბავშვს, მოზარდს] ვხვდები იმისათვის, რომ მათ შეძლონ ჩემთვის სიმართლის თქმა იმის შესახებ, თუ რა გადახდათ თავს. [ბავშვის სახელი], ძალიან მნიშვნელოვანია რომ დღეს შენ მომიყვე სიმართლე იმის შესახებ, რაც შეგემთხვა.

## **დ. ურთიერთგაგების დამყარების გაგრძელება და ეპიზოდური მეხსიერების გავარჯიშება**

გამოკითხვის დაწყებამდე, მოძიეთ მოკლე, პოზიტიური და ღირსშესანიშნავი მოვლენა ბავშვის ახლო წარსულიდან, რომელშიც ის აქტიურად მონაწილეობდა. სასურველია, აირჩიოთ ისეთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელიც სავარაუდო ძალადობას მიახლოებით ემთხვეოდა დროში. თუ სავარაუდო ძალადობა, ზუსტად ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის დროს მოხდა, აირჩიეთ სხვა მოვლენა.

[ბავშვის სახელი], მიხარია რომ დღეს შევხვდით და მინდა უფრო კარგად გაგიცნო.

### **დ.1. ძირითადი მიმართვა**

**რამდენიმე [დღის, კვირის] წინ [დღესასწაული, დაბადების დღის წვეულება, ან სხვა მოვლენა] იყო. ყველაფერი მომიყვია, რაც მოხდა [ამ ღონისძიების დროს], თავიდან ბოლომდე, რაც შეიძლება კარგად.**

თუ გამოკითხვამდე არ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენის მოძიება, ჰკითხეთ ბავშვს: **ბოლო დროის განმავლობაში, რაიმე განსაკუთრებული თუ გაგიკეთებია, სადმე ხომ არ წასულხარ ან დაბადების დღის წვეულებაზე ხომ არ ყოფილხარ?**

თუ ბავშვი შესაფერის მოვლენას არ იხსენებს, უთხარით: **ყველაფერი მომიყვია რაც თავს გადაგხდა [დღეს, გუშინ], გაღვიძების მომენტიდან.**

### **დ.2. მომდევნო/შემავსებელი მიმართვები**

**გაიმეორეთ პირველი აქტივობა, რომლითაც დაიწყო ღონისძიება [დღესასწაული, დაბადების დღის წვეულება, ან სხვა მოვლენა].**

*შემდეგ კითხეთ:*

**[ბავშვის სახელი] და შემდეგ რა მოხდა?**

*მოცემულ ნაწილში, ეს შეკითხვა იმდენჯერ გაიმეორეთ, რამდენჯერაც დაგჭირდებათ. სანამ არ დარწმუნდებით, რომ მოვლენის შესახებ სრული*

*ინფორმაცია მიიღეთ.*

[ბავშვის სახელი], მადლობა. შენ ბევრი რამე მითხარი (თუ გითხრათ). მინდა ცოტა მეტი კითხვა დაგისვა იმის შესახებ, რაც ეხლა მითხარი.

### **დ.3. დროის დაყოფის მიმართვები**

*სცადეთ, მოვლენის დროში დაყოფა სამი ტიპის მიმართვის გამოყენებით. თუმცა, შესაძლებელია მიმართვების რაოდენობა და ტიპი შეცვალოთ ბავშვის შესაძლებლობების და რეაქციების მიხედვით.*

[ბავშვის სახელი], მსურს ყველაფერი მომიყვე [მოვლენა] შესახებ.

გთხოვ, მომიყევი ყველაფერი რაც მოხდა მომენტიდან [მოქმედება, რომელიც ბავშვმა ახსენა], მომენტამდე [მოქმედება რომელიც შემდეგ მოხდა].

*თუ, ბავშვისთვის რთული გასაგებია დაყოფილი ნაწილები, უთხარით:*

გთხოვ, მომიყევი ყველაფერი რაც მოხდა [აქტივობა, რომელიც ბავშვმა აღნიშნა] დაწყების მომენტიდან.

[ბავშვის სახელი], მადლობა რომ მომიყევი. შენ ძალიან გასაგებად საუბრობ/გამოხატავ და მე ეს მეხმარება, კარგად გავიგო შენი ნათქვამი.

### **დ.4. დამაზუსტებელი მიმართვები**

*ეცადეთ, გამოიყენოთ სამი დამაზუსტებელი მიმართვა მაინც. თუმცა, მათი რიცხვი ბავშვის შესაძლებლობების და რეაქციების მიხედვით შეგიძლიათ შეცვალოთ. გთხოვთ, ფოკუსირება მოახდინეთ აზრებზე და გრძნობებზეც.*

*დამაზუსტებელი მიმართვები შეიძლება გამოყენებული იყოს ორი ფორმით:*

მეტი მომიყევი [აქტივობა, საგანი, აზრი, გრძნობა].

აქამდე ახსენე [აქტივობა, საგანი, აზრი, გრძნობა]. უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ.

დ.5. [ბავშვის სახელი], მადლობა რომ მეტი მომიყვები [მომხდარი მოვლენის სახელი]. დღეს, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, ყველაფერი მითხრა იმის შესახებ, რაც ნამდვილად გადაგხდა თავს.

დ.6. [ბავშვის სახელი], როგორ გრძნობ თავს ჩვენი საუბრის დროს?

თუ, ძირითადი ნაწილის ფაზაში, ბავშვი არ თანამშრომლობს და არ იხსნება, დაასრულეთ ინტერვიუ. გამოკითხვის დასასრულებლად, პირველ სექციაში გადადით და ურთიერთგაგების დამყარების გასაგრძელებლად, დამატებითი ინტერვიუ დანიშნეთ (იხ. დანართი 2).

## ე. ძირითადი ფაზა

### ე.1. ძირითად საკითხებზე გადასვლა

მნიშვნელოვანია! თუ, ბავშვი ვერბალურად აშკარა წინააღმდეგობას გამოხატავს, მაგრამ არ უარყოფს ძალადობის ფაქტს, გადაინაცვლეთ სექცია ე.1.ა -ზე, “აშკარა უარყოფის მართვის მხარდაჭერა” და გაუმკლავდით რეზისტენტულობას დამატებითი, გარდამავალი ბიძგის გარეშე.

ახლა, როცა ერთმანეთს უკეთ ვიცნობთ, მინდა ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ რატომ [ხარ, ვარ] დღეს აქ.

*ნებისმიერ ეტაპზე, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი აკეთებს განაცხადს, გადაინაცვლეთ სექცია ე.2-ზე.*

*თუ, ბავშვი ინფორმაციას შეუსაბამო მოვლენის შესახებ იძლევა, უთხარით:*

[ბავშვის სახელი], მესმის რასაც მეუბნები. თუ გინდა, მოგვიანებით შეგვიძლია ამაზე ვისაუბროთ. თუმცა ახლა, მინდა მეტი გავიგო იმის შესახებ, რაც შესაძლოა, შეგემთხვა.

1. მესმის, რომ რაღაც შეიძლება შეგემთხვა. ყველაფერი მომიყევი იმის შესახებ, რაც მოხდა, თავიდან ბოლომდე.
2. როგორც გითხარი, ჩემი სამუშაოს ნაწილია, ვესაუბრო ბავშვებს იმის შესახებ, რაც შესაძლოა მათ თავს გადახდათ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მითხრა, შენი აზრით, რის გამო [დედამ, მამამ, ბებიამ] [მოგიყვანეს დღეს აქ, მოვედი დღეს შენთან სალაპარაკოდ].
3. თუ, ბავშვი განაცხადს არ აკეთებს და თავს გარიდებთ ან წინააღმდეგობას გიწევთ, მიმართეთ ზოგადი მხარდაჭერის გამომხატველი ფრაზებით, რომლებიც კონკრეტულად მას არ ეხება და არ აკეთებს აქცენტს ძალადობაზე:

- |  |
|--|
| <p>ა. [ბავშვის სახელი], ჩემი სამუშაოს ნაწილია, ვესაუბრო ბავშვებს იმის შესახებ, რაც მათ თავს გადახდათ.</p> <p>ბ. [ბავშვის სახელი], მართლა მინდა ვიცოდე, როდესაც ბავშვებს რაღაც შეემთხვევიათ. ამიტომ ვარ ახლა აქ.</p> <p>გ. [ბავშვის სახელი], აქ ბავშვებს შეუძლიათ ისაუბრონ კარგ და ცუდ რაღაცებზე, რაც მათ თავს გადახდათ.</p> <p>დ. ჩემი საქმეა, დავეხმარო ბავშვებს.</p> |
|--|

4. როგორც გავიგე, [ექიმს, მასწავლებელს, სოციალურ მუშაკს, სხვა პროფესიონალს] ესაუბრე [დრო, ადგილი]. გთხოვ, მომიყევი რაზე ისაუბრეთ.
5. მე [ვნახე, გავიგე] რომ შენ გქონდა/გაქვს [დადასტურებული დაზიანებები, სისხლჩაქცევები] შენს [სხეულის ნაწილი]. ყველაფერი მომიყევი [მის, მათ] შესახებ.
6. [ბავშვის სახელი], რამე შეგემთხვა [ადგილი, შემთხვევის სავარაუდო დრო]?

თუ, ბავშვი არ აკეთებს განაცხადს, თავს გარიდებთ ან რეზისტენტულია, გამოიყენეთ (ა-გ) მხარდამჭერი ფრაზები ან რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილთაგან. ფრაზები, რომლებიც კონკრეტულ ბავშვზეა მიმართული, მაგრამ სადაც არ არის ნახსენები ძალადობა:

- ე. შენ ბევრი რამ მომიყევი შენს შესახებ. ვგრძნობ, რომ უკეთ გიცნობ და შეგიძლია მეტი მომიყვე [რაღაცების შესახებ, კარგი და ცუდი რაღაცების შესახებ] რაც შეგემთხვა.
- ვ. შენ ბევრი რამ მომიყევი შენს შესახებ. მაღლობა რომ ამის შესაძლებლობა მომეცი. დღეს ვსაუბრობდით, გთხოვ განაგრძე და მეტი მომიყევი სხვა რაღაცების შესახებ რაც თავს გადაგხდა.
- ზ. [ბავშვის სახელი], თუ არის რაიმე რაც გინდა რომ მითხრა, [მე მინდა რომ ვიცოდე/მოგისმინო, ჩემთვის მნიშვნელოვანია რომ ვიცოდე/მოგისმინო].

თუ, არ არის განაცხადი ან ისევ უარყოფა: შეაფასეთ და დაგეგმეთ შემდეგი ნაბიჯები.

თქვენ შეგიძლიათ, ბავშვის მიერ წინააღმდეგობის გამომხატველი ვერბალური და არავერბალური ნიშნების მიხედვით, შეაფასოთ სიტუაცია და გადაწყვიტოთ, გააგრძელებთ ინტერვიუს თუ - არა. დაფიქრდით, გამოკითხვის დასრულებაზე (გადადით ე.1.ბ.-ზე) და დაგეგმეთ დამატებითი ინტერვიუ (დანართი 2) თუ ფიქრობთ, რომ ბავშვი უარს ამბობს ან თავს არიდებს თანამშრომლობას და ურთიერთგაგების დასამყარებლად დამატებითი შეხვედრა იქნება სასარგებლო.

თანდათან, გადადით გარდამავალ, ბიძგის მიმცემ მიმართვებზე, თუ ეჭვობთ, რომ:

- ძალადობას, შესაძლოა, არ ჰქონდა ადგილი [რადგან, მნიშვნელოვანია გავიგოთ, რატომ გაჩნდა ეჭვი.]
- ბავშვი ვერ ხვდება გამოკითხვის მიზანს.

ბავშვი უარყოფს თქვენს მცდელობას ან არ თანამშრომლობს, მაგრამ ასეობს სერიოზული შფოთვა მის კეთილდღეობასთან ან გამოძიებასთან დაკავშირებით.

7. [ბავშვის სახელი], ვინმე გაწუხებს?

8. [ბავშვის სახელი], ვინმემ რაიმე ისეთი გაგიკეთა, რაც შენი აზრით არ იყო სწორი?

9. [ბავშვის სახელი], ვინმემ [მოკლედ შეაჯამეთ არსებული განაცხადები ან ეჭვები, სახელებისა და სავარაუდო დამნაშავის დაკონკრეტების და ასევე, ზედმეტად ბევრი დეტალის ხსენების გარეშე]?

*თუ, ბავშვი არ აკეთებს განაცხადს, მაგრამ ატყობთ რომ თავს გარიდებთ ან რეზისტენტულია და არეობს ეჭვის დამოუკიდებელი მტკიცებულება, გამოიყენეთ ზემოთ (ა-ვ) ხსენებული მხარდამჭერი ფრაზები ან რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილთაგანი:*

თ. [ბავშვის სახელი], [მე, ადამიანები] ვნერვიულობთ შენზე და მინდა ვიცოდე, თუ თავს რამე გადაგხდა.

ი. [ბავშვის სახელი], თუ რაიმე გადაგხდა თავს და გინდა რომ ეს დასრულდეს, შეგიძლია ამის შესახებ მომიყვე.

კ-1. [ბავშვის სახელი], თუ შენთვის რთულია ამაზე საუბარი, რა ხდის მას ასე რთულს?

კ-2. [ბავშვის სახელი], არის რამე, რაც გაწუხებს?

კ-3. [ბავშვის სახელი], რა მოხდება, თუ მომიყვები?

კ-4. [ბავშვის სახელი], ვინმემ გითხრა რომ არ მომიყვე?

ლ. ზოგჯერ, ბავშვებს ჰგონიათ, რომ თუ რაიმე გადახდათ თავს, ეს მათი ბრალია. მაგრამ, ბავშვები არ არიან პასუხისმგებელნი, თუ მათ თავს რაიმე ხდებათ.

მ. თუ გინდა რომ მითხრა - შენი არჩევანია, ხოლო ჩემი სამუშაოს ნაწილია, რომ შენ არჩევის საშუალება მოგცე.



10. [ბავშვის სახელი], მესმის [შენ, ვინმე] [შეტყობინება გააკეთა, დაინახა] [მოკლედ შეაჯამეთ ჩვენებები ან ეჭვები, სახელების, სავარაუდო დამნაშავეს დაკონკრეტებისა და ზედმეტად ბევრი დეტალის ხსენების გარეშე]. **მინდა გავიგო რამე თუ გადაგხდა თავს.**

ე.1.ა. დამხმარე ფრაზები აშკარა წინააღმდეგობის სამართავად.

თუ, ბავშვი ცალსახად გამოხატავს რომ მას უჭირს ან არ აქვს გამჟღავნების სურვილი, მაგრამ არ უარყოფს ძალადობას, გამოიყენეთ (ა - მ) მხარდამჭერი ფრაზები და ქვემოთ მოცემული ფრაზები, რომლებიც აშკარა წინააღმდეგობის დაძლევაში დაგეხმარებათ:

ნ. [ბავშვის სახელი], მესმის რომ [სირთულე, რომელიც ბავშვმა აღნიშნა, მაგალითად სირცხვილი]. **მოდი, დავიწყოთ საუბრით და ვეცდები, რომ ამაში მოგეხმარო.**

ო. ბევრ ბავშვს [სირთულე, რომელიც ბავშვმა აღნიშნა] და მე ვცდილობ, რომ მათ დავეხმარო.

პ. მესმის, რომ [სირთულე, რომელიც ბავშვმა აღნიშნა], მეტი მომიყვები ამის შესახებ.

ჟ. თუ, ბავშვი გამოხატავს თავდაჯერებულობის ნაკლებობას უთხარი: **დარწმუნებული ვარ, რომ ამაზე საუბარს შენ შეძლებ.**

რ. თუ, ბავშვი ამბობს, რომ ის ნერვიულობს რაიმე კონკრეტულზე და თქვენ დარწმუნებით შეგიძლიათ უთხრათ სიმართლე: **არ ინერვიულო, მე [არ ვეტყვი სხვა ბავშვებს/დარწმუნებული იყავი რომ ტრანსპორტზე არ დაგაგვიანდება].**

ს. შენი არჩევანია მომიყვე. მე მივიღებ შენ არჩევანს.

თუ, რომელიმე ეტაპზე, როდესაც ცდილობთ, გაიგოთ მოხდა თუ არა ბავშვზე ძალადობა, ატყობთ: ბავშვი წინააღმდეგობაშია ან არ თანამშრომლობს; და გჯერათ, რომ ურთიერთგაგების დამყარება, შესაძლებელი იქნება ხელახალი

შეხვედრის შემთხვევაში, დაასრულეთ გამოკითხვა და დაგეგმეთ განმეორებითი ინტერვიუ (დანართი 2).

გადაინაცვლეთ სექცია ზ-ზე, თუ გსურთ ინტერვიუს დასრულება.

## *ე.2. შემთხვევების გამოვლენა*

*ძირითადი ნაწილის განმავლობაში, მნიშვნელოვანია, ბავშვთან უკვე დამყარებული ურთიერთგაგების შენარჩუნება და გაძლიერება, განაგრძეთ მხარდამჭერი ფრაზების გამოყენება, ყურადღება მიაქციეთ შესაბამის აკრძალვებს, სირთულეებს და კონფლიქტებს.*

### *ე.2.ა. თავისუფალი გახსენება*

#### *10.ა. მიმართვა შემთხვევის შესახებ პირველადი თხრობის დასაწყებად*

თუ, ბავშვი აღნიშნავს კონკრეტულ შემთხვევას:

[ბავშვის სახელი], შენ მითხარი რომ [მოკლედ შეაჯამეთ ჩვენება/განაცხადი, რომელიც ბავშვმა გააკეთა]. ყველაფერი მომიყევი, თავიდან ბოლომდე.

თუ, ბავშვი რამდენიმე შემთხვევას ასახელებს:

[ბავშვის სახელი], შენ მითხარი რომ [ბავშვის განაცხადის მოკლე შეჯამება].

**ყველაფერი მომიყევი [ბოლო/პირველი/ადგილზე/დროს/კონკრეტული შემთხვევა] შესახებ, თავიდან ბოლომდე.**

*თუ, ბავშვი ზოგადად აღწერს და გიჭირთ შემთხვევათა რაოდენობის განსაზღვრა:*

[ბავშვის სახელი], შენ მითხარი რომ [მოკლედ შეაჯამეთ ბავშვის მიერ გაკეთებული განაცხადი]. ეს ერთხელ მოხდა, თუ რამდენიმეჯერ? პასუხის გათვალისწინებით, გთხოვთ დაუბრუნდეთ პირველ მონათხობს (10.ა.)

თუ, აღწერა მაინც ზოგადია, გთხოვთ, უთხრათ:

[ბავშვის სახელი], შენ მითხარი რომ [მოკლედ შეაჯამეთ ზოგადი აღწერა].  
ყველაფერი მომიყევი, თავიდან ბოლომდე.

### 10.ბ. მომღვეწო/შემავსებელი მიმართვები

გთხოვთ, გაიმეორეთ ბავშვის მიერ აღწერილი ქმედება/მოვლენა, რომლითაც შემთხვევა დაიწყო. შემდეგ ჰკითხეთ:

**და რა მოხდა შემდეგ?**

გამოიყენეთ ეს შეკითხვა იმენჯერ, რამდენჯერაც დაგჭირდებათ. მანამ, სანამ არ გეჭნებათ სავარაუდო ინციდენტის შესახებ სრული აღწერა.

### 10.გ. დროის დაყოფის მიმართვა

შენ ბევრი რამ მითხარი და მომეხმარე გამეგო რა მოხდა. [ბავშვის სახელი], ახლა, მინდა მეტი გკითხო [შემთხვევის დასახელება]- თან დაკავშირებით.

[ბავშვის სახელი], გაიხსენე ის დრო [დღე, ღამე] და გთხოვ, ყველაფერი მომიყევი რაც [აქტიობა, რომელიც ბავშვმა აღნიშნა] მომენტიდან, [ბავშვის მიერ აღნიშნული შემდგომი აქტივობა] მომენტამდე მოხდა.

ეს შეკითხვა, შეგიძლიათ გამოიყენოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება დარწმუნდეთ, რომ შემთხვევის ყველა ნაწილი დამუშავებულია.

### 10.დ. დამაზუსტებელი მიმართვები

დამაზუსტებელ მიმართვას შეიძლება ჰქონდეს ორი ფორმა:

- უფრო მეტი მომიყევი [აქტივობა, საგანი, გრძნობები, ფიქრები]-ს შესახებ.

- [ბავშვის სახელი], შენ აღნიშნე [აქტივობა, საგანი, გრძნობა, ფიქრი]. უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ.

ეს შეკითხვა გამოიყენეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც ამ ნაწილში დაგჭირდებათ.

მნიშვნელოვანია! თავისუფალი გახსენება უნდა ამოიწუროს მანამ, სანამ

პირდაპირ/მიმართულ კითხვებზე გადახვალთ.

## **ე.2.ბ. პირდაპირი/მიმართული შეკითხვები**

*თუ, განაცხადს, რომელიმე, კონკრეტული დეტალი აკლია ან გაუგებარია ღია კითხვების დასმის შემდეგ, გამოიყენეთ პირდაპირი შეკითხვები.*

**11.** [ბავშვის სახელი], **შენ თქვი რომ/აღნიშნე** [მოქმედება, საგანი, გრძნობა, ფიქრი]. [როგორ, როდის, სად, ვინ, რა, რომელი, რამდენი, რას გულისხმობ?], *მნიშვნელოვანია, რომ პირდაპირ/მიმართული შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს, როდესაც შესაძლებელია, გამოიყენოთ ისევ ღია ტიპის მიმართვები: უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ.*

## **ე.2.გ. მრავალჯერადი შემთხვევების აღმოჩენა**

*თუ, რომელიმე პასუხში, კითხვაზე 10ა-11 ბავშვი აღნიშნავს ერთ შემთხვევას:*

**12.** [ბავშვის სახელი], **რაც ეხლა მომიყევი, ეს ერთხელ მოხდა თუ ერთზე მეტჯერ?**

*თუ, ბავშვი ამბობს რომ ასეთი ინციდენდტი ერთზე მეტჯერ მოხდა, დაუბრუნდით შეკითხვას 10.ა. და მოიძიეთ დამატებითი შემთხვევები. რეკომენდირებულია, მოიკვლიოთ ბოლო, პირველი ან ყველაზე კარგად დამახსოვრებული შემთხვევა.*

## **ე.2.დ. შესვენება**

[ბავშვის სახელი], **ახლა მინდა დავრწმუნდე, რომ კარგად გავიგე ყველაფერი რაც მითხარი და ვნახო, რამე ხომ არ არის ისეთი, რაც შეიძლება გკითხო. რამდენიმე წუთი დამჭირდება იმისთვის, რომ ვიფიქრო იმაზე, რაც მომიყევი და გადავხედო ჩემ ჩანაწერებს.**

*შესვენების დროს, გადახედეთ მიღებულ ინფორმაციას. ნახეთ, რაიმე ხომ არ აკლია და დაგეგმეთ ინტერვიუს დანარჩენი ნაწილი. დარწმუნდით, რომ სავარაუდო პასუხიანი შეკითხვები ფორმულირებული გაქვთ წერილობით და ჩანაცვლეთ ისინი ღია ან პირდაპირი/მიმართული კითხვებით.*

ე.2.ე. შეკითხვები პასუხების ვარიანტებით - იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც ბავშვს არ აღუნიშნავს.

მოცემული ფოკუსირებული შეკითხვები უნდა გამოიყენოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ხერხი სცადეთ და ხვდებით, რომ აუცილებელი ინფორმაცია მაინც გაკლიათ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დახურულ შეკითხვებზე პასუხების შემთხვევაში, მომდევნო კითხვა, შეძლებისდაგვარად, ღია მიმართვის ფორმით იყოს ფორმირებული (“ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ”).

თუ, მოვლენა რამდენიმეჯერ მოხდა, ამ შემთხვევებთან ბავშვი თავისივე სიტყვებით უნდა დააკავშიროთ.

13. [ბავშვის სახელი], როდესაც შენ მომიყევი [კონკრეტული შემთხვევა, შესაბამის დროსა და ადგილას] შესახებ, შენ აღნიშნე [აქტივობა, საგანი, გრძნობა, ფიქრი]. [იყო, იყვნენ, არის, არიან] [დეტალი, რომელიც ბავშვმა უნდა დაადასტუროს ან უარყოს]? მაგალითად: მარიამ, შენ მითხარი რომ სამზარეულოში იყავი ირაკლისთან ერთად. ამ დროს, შენთან ერთად, სხვა ადამიანები იყვნენ?

შესაბამის ადგილას, გამოიყენეთ შემდეგი მიმართვა:

ყველაფერი მომიყევი ამ [აქტივობა, საგანი, გრძნობა, ფიქრი]-ს შესახებ.

სანამ შემდეგი შემთხვევის განხილვას დაიწყებთ, დარწმუნდით, რომ ბავშვისგან მოიძიეთ ყველა დეტალი, რაც გაკლდათ თითოეული სპეციფიური მოვლენის შესახებ.

### ვ. ინფორმაცია გამჟღავნების შესახებ

შენ მითხარი მიზეზი, რის გამოც დღეს ჩემთან სასაუბროდ მოხვედი. მომაწოდე [ბევრი] ინფორმაცია და ეს ყველაფერი, ნამდვილად, მეხმარება იმის გაგებაში, რაც მოხდა.

თუ ბავშვმა აღნიშნა, რომ შემთხვევ(ებ)ის შესახებ ვინმეს მოუყვა, შესაძლოა უთხრათ:

ახლა, მინდა გავიგო, როგორ შეიტყვეს ამის შესახებ [ბოლო შემთხვევა] სხვა ადამიანებმა.

*თუ, ბავშვს არ უხსენებია, რომ შემთხვევა სხვასაც მოუყვა, გაარკვიეთ ხომ არ გაუმჟღავნებია მომხდარი ვინმესთან: კიდეც ვინმემ იცის, მომხდარის შესახებ?*

*შემდეგ, გაარკვიეთ როგორ მოხდა ინფორმაციის გამჟღავნება, როდის, რა პირობებში, ვისთან, სავარაუდო საუბრები მომხდართან დაკავშირებით, ბავშვის და ინფორმაციის მიმღების რეაქციები. გამოიყენეთ ღია კითხვები ყველგან, სადაც შესაძლებელია.*

## **ზ. ინტერვიუს (გამოკითხვის) დასრულება**

[ბავშვის სახელი], აქედან წასვლის შემდეგ, რის გაკეთებას აპირებ?

*რამდენიმე წუთის განმავლობაში, ბავშვს ესაუბრეთ ნეიტრალურ თემაზე.*

## დანართი 1:

### ხატვის გამოყენება ურთიერთგაგების დასამყარებლად

*თუ, ბავშვი დისტანციას იჭერს, შეშინებულია ან არ ერთვება პროცესში, ურთიერთგაგების ფაზაში, შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი მიმართვა:*

[ბავშვის სახელი], გინდა დახატო ის, რისი კეთებაც მოგწონს?

[ბავშვის სახელი], გინდა დახატო რაიმე სახალისო, რაც თავს გადაგხდა?

*შესთავაზეთ ფურცლები და სახატავი ნივთები და რამდენიმე წუთის განმავლობაში ხატვის საშუალება მიეცით.*

*დაჯექით ბავშვის გვერდით, გაუღიმეთ და წახალისეთ, რომ ხატვის დროს ილაპარაკოს.*

*არ გაუკეთოთ ნახატებს ინტერპრეტაცია. ნუ მიაქცევთ ყურადღებას ბავშვის ნახატს. მხედველობაში მიიღეთ მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც ის ვერბალურად გადმოგცემთ ხატვის დროს ან ხატვის შემდეგ, ღია მოწვევის გამოყენებით.*

*თუ, ხატვის დროს ან მას შემდეგ ბავშვი არ საუბრობს, გამოიყენეთ ღია მიმართვა: გთხოვ, მომიყევი შენი ნახატის შესახებ.*

*როდესაც ბავშვი ხატვას დაასრულებს, შეაქეთ:*

*ძალიან კარგი, [ბავშვის სახელი]. მაძლობა ამ ნახატისთვის.*

## დანართი 2:

### როდესაც, დამატებითი ინტერვიუ გჭირდებათ

დამატებითი გამოკითხვა იმ შემთხვევაში ტარდება, თუ გამომძიებელს სჯერა, რომ ამ გამოკითხვის დანიშვნა ხელს შეუწყობს ურთიერთგაგების უკეთ დამყარებას, რაც თავის მხრივ, დაგვენმარება იმის გაგებაში, ჰქონდა თუ არა ძალადობას ადგილი (გარდამავალი ფაზა). 2-3 ინტერვიუ შეიძლება იყოს აუცილებელი.

#### ზოგადი რეკომენდაციები დამატებითი ინტერვიუსთვის:

1. ურთიერთგაგების დასამყარებლად, ბავშვისგან დამოუკიდებლად, მოიძიეთ პერსონალური ინფორმაცია ბავშვის შესახებ (მაგალითად: ინტერესები, პოზიტიური მოვლენები მის ცხოვრებაში, სხვა შესაბამისი ინფორმაცია).
2. განმეორებით გასაუბრებამდე, გადახედეთ ინფორმაციას, რომელიც წინა ინტერვიუდან მიიღეთ, რათა გაიხსენოთ ბავშვთან საუბარი.
3. ბავშვის და გარემოებების მიხედვით, ძირითადი წესები შეგიძლიათ, დასაწყისში მოკლედ აუხსნათ, მათი გავარჯიშების გარეშე.
4. ურთიერთგაგების დამყარების ფაზაში, ისაუბრეთ მეგობრების, ინტერესების, ღირსშესანიშნავი მოვლენების ან წინა შეხვედრ(ებ)ის დროს განხილული თემების შესახებ.
5. განურჩევლად იმისა, თუ რომელ ეტაპზე იმყოფებით, როდესაც ბავშვი გაძლევთ ჩვენებას ან აღნიშნავს ძირითად საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას, გადაინაცვლეთ ინტერვიუს ძირითად ნაწილზე.
6. ზოგადად, დამატებითი გამოკითხვა პროტოკოლის სტრუქტურის მიხედვით ხდება, თუმცა ის მორგებული უნდა იყოს წინა ინტერვიუს და ეფუძნებოდეს ურთიერთგაგებას, რომელიც მანამდე დამყარდა.

მაგალითად:

- ალბათ, გახსოვს რომ [მე მქვია... ]
- დღეს, ისევ [ვიდეო-კამერა მაქვს თან]



- წინა შეხვედრისას, შენ მითხარი რომ [მაგ. გიყვარს ფეხბურთის თამაში]

7. პროგრესის, ინტერვიუს მიმდინარეობის და გარდამავალი ფაზის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს პროტოკოლში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით.

## დანართი 3:

### მხარდამჭერი, არაჩამაგონებელი ტექნიკები

#### ა. ბავშვის მიმართვა სახელით

მიმართეთ ბავშვს პერსონალურად, სახელით. ნუ მიმართავთ მოფერებითი ტერმინებით (ტკბილო, საყვარელო და ა.შ.)

#### ბ. ურთიერთგაგების დამყარება

- მისაღმება

მიხარია რომ [დღეს შეგხვდი, გაგიცანი, გესაუბრები].

მე მქვია \_\_\_\_\_.

- ბავშვთან დაკავშირებით პირადი ინტერესის გამოხატვა

მინდა რომ [გაგიცნო, გავიგო რა გადაგხდა თავს]. დღეს პირველად შეგხვდით და ჩემთვის მნიშვნელოვანია, უკეთ გაგიცნო.

- კეთილგანწყობის გამომხატველი მცირე ჟესტები

ხომ არ გცივა?

მოდი, განახებ სად არის საჭირო ოთახი.

აქ არის შენთვის ფინჯანი წყალი.

თუ გინდა, შეგიძლია ვიდუო-კამერას შეხედო.

მცირე შესვენება ხომ არ გინდა?

#### გ. განმტკიცება

- ქცევის განმტკიცება

მოერიდეთ "შეფასებას" ("ამის შესახებ ძალიან კარგად მითხარი") და გარკვეული შინაარსის განმტკიცებას ("მადლობა რომ მამაშენის შესახებ მითხარი")

ამას გასაგებად ხსნი.

ბევრ დეტალს მეუბნები და ეს მნიშვნელოვანია.

ნამდვილად მეხმარები გაგებაში, მადლობა.

შენ შემისწორე და ეს მნიშვნელოვანია.

ვხვდები, რასაც ამბობ.

- *მადლიერების გამოხატვა და დაფასება*

მადლობა მინდა გადაგიხადო იმისთვის, რომ მეხმარები.

ვაფასებ, რომ მელაპარაკები.

მადლობა, რომ ასე ცდილობ გაიხსენო და მიყვები იმას, რაც მოხდა.

მადლობა რომ მიზიარებ.

- *ბავშვის გადაწყვეტილების პატივისცემა*

შენი გადასაწყვეტია, მომიყვები თუ არა და ჩემი სამუშაოს ნაწილია, რომ არჩევნის საშუალება მოგცე.

*დ. ურთიერთგაგების გამოყენება*

- *ურთიერთობებზე რეფლექსია:*

შენი თავის შესახებ ბევრი რამე მომიყვები და ვგრძნობ, რომ უკეთ ვიცნობ. ახლა, როდესაც ერთმანეთს უკეთ ვიცნობთ, შეგიძლია გამიზიარო.

- *ზრუნვის გამოხატვა:*

მე აქ შენთვის ვარ.

მე შენზე ვზრუნავ.

შენ ჩემთვის მნიშვნელოვანი ხარ.

- *იმის ხაზგასმის, რომ თქვენ ხართ ადამიანი, ვისთანაც მას შეუძლია გაიხსნას:*

თუ რაიმე მოხდა, მე აქ ვარ, რომ შენ მოგისმინო.

შეგიძლია მენდო და მომიყვე, თუ რაიმე მოხდა.

შეგიძლია მე გამიზიარო [საილუმლო, რაიმე რაც გაწუხებს].

ბევრ ბავშვს ვესაუბრები და ისინი მიყვებიან იმას, რაც თავს გადახდათ.

ჩემი სამუშაოს ნაწილია მოვუსმინო ბავშვებს, თუ მათ რაიმე პრობლემა აქვთ.

*ე. ემოციური მხარდაჭერა*

- *ბავშვის პრობლემების განზოგადება*

ბევრი ბავშვისთვის რთულია რომ თქვას.

ბევრ ბავშვს [სცხვენია, ერიდება, დუმს] თავიდან, მაგრამ არაუშავს.

ბევრ ბავშვს აქვს საიდუმლო და მე აქ ვარ იმისთვის, რომ მოვუსმინო.

- *ემპათია*

მესმის, რომ შენთვის რთულია საუბარი.

ვიცი, რომ ხანგრძლივი საუბარი გვჭირდება.

- *ბავშვის გრძნობების შემოწმება*

ახლა როგორ ხარ?

ახლა, როდესაც დავასრულეთ, როგორ გრძნობ თავს?

სანამ ვილაპარაკებდით, მანამდე როგორ გრძნობდი თავს?

დღეს, ჩემთან საუბრისას, როგორ გრძნობდი თავს?

- *ემოციებში ჩაღრმავება*

მეტი მომიყევი შენი [შიშის, ბრაზის] შესახებ.

ვხედავ, ტირი. რის გამო?

შენ თქვი, რომ არ შეგიძლია მითხრა. მეტი მომიყევი ამის შესახებ.

- *ემოციების არეკვლა*

შენ თქვი, რომ [ნაწყენი იყავი, ტიროდი, გაბრაზდი].

- *ღია კითხვები იმ აზრებისა და გრძნობების შესახებ, რომლებიც მოვლენის დროს იყო*

შენ თქვი, რომ [დანადვლიანებული იყავი, შეწუხებული იყავი, გინდოდა

გაქცეულიყავი]. მეტი მომიყევი ამის შესახებ.

- ემოციების მიღება და სახელდება:

შენ თქვი, რომ ეს ძალიან მტკივნეული იყო.

მესმის, რასაც ამბობ.

ვხედავ, რასაც ამბობ.

- დარწმუნება:

არ ინერვიულო [სხვა ბავშვებს არ ვეტყვი, დავრწმუნდები რომ ტრანსპორტზე არ დაგაგვიანდება, დავრწმუნდები რომ არავინ დაგაკავებს].

ზოგჯერ, შესაძლებელია დაეხმარო [ოჯახებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ; ადამიანებს, რომლებმაც სხვას აწყენინეს].

ზოგჯერ, ლაპარაკი ეხმარება ბავშვებს და აღარ სჭირდებათ საიდუმლოს შენახვა.

- ბავშვისგან პასუხისმგებლობის მოხსნა:

თუ, [რაიმე მოხდა, ვინმემ გაწყენინა],[ეს შენი ბრალი არ არის, შენ არ ხარ ამაზე პასუხისმგებელი].

განზოგადება: როდესაც, ბავშვებს რაიმე შეემთხვევთ, ეს მათი ბრალი არ არის.

- გამოუხატავი ემოციების და კონფლიქტების აღმოჩენა

შენთვის რთულია ამაზე საუბარი, რის გამო ღელავ?

### ვ. კეთილგანწყობილი წახალისება

- თბილად აღნიშნეთ, რომ ბავშვი ინფორმაციის მთავარი წყაროა:

ამ კითხვებს იმიტომ გისვამ, რომ მე მანდ არ ვიყავი.

- გამოხატვის ლეგიტიმაცია

შეგიძლია ისაუბრო ცუდ და კარგ რაღაცებზე.

ამ ოთახში, ნებისმიერი რამის თქმა შეგიძლია.

შეგიძლია თქვა [ამ ტიპის რაღაცეები, თქვა ეს/ცუდი სიტყვები].

ბევრი ბავშვი მიყვება იმის შესახებ, რაც თავს გადახდათ და ეს მისაღებია.

- თავდაჯერებულობის/ოპტიმიზმის გამონატვა

ვფიქრობ, კარგად შეგიძლია ამის აღწერო.

დარწმუნებული ვარ, შეგიძლია მომიყვე.

- დახმარების შეთავაზება:

მინდა საჭმე გაგიმარტივო, როგორ შემიძლია დაგეხმარო რომ მომიყვე?

შენთვის უფრო მარტივი ხომ არ იქნება, თუ ამას დაწერ?

დაიწყე მოყოლა და მე კითხვებით მოგეხმარები, აქ იმისთვის ვარ, რომ შენ დაგეხმარო.

- არავერბალური კომუნიკაციის წახალისება:

განაგრძე და შემომხედე, რომ დაგინახო.

დამანახე შენი თვალები.

- გახსნის წახალისება:

გთხოვ, განაგრძე და მომიყევი.

ნამდვილად, ძალიან მნიშვნელოვანია მომიყვე, თუ რაიმე გადაგხდა თავს.

## ზ. არასწორი მხარდაჭერა

1. ჩამაგონებელი მხარდაჭერა - წინასწარი ვარაუდების გამოყენება, შერჩევითი წახალისება; ძალადობის შესახებ ნაადრევად, გარადამავალ ფაზამდე აღნიშვნა;
2. უსაფუძვლო მხარდაჭერა - არა რეალური დაპირების მიცემა და დაიმედება.
3. კონფრონტაცია - ინტერვიუერი, ბავშვისგან მიღებულ ინფორმაციას ართულებს, ჩააგონებს, რომ მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია დაუსაბუთებელია, ეწინააღმდეგება გარედან მიღებულ ინფორმაციას ან არათანმიმდევრულია.

4. დისკომფორტის გამოწვევა - აწყვეტინებს, აკრიტიკებს ბავშვის გამოთქმულ აზრებს ან ქცევას, მომთხოვნია, არასწორი სახელით მიმართავს ბავშვს.

5. ადეკვატური პასუხების არ ქონა:

ა. ბავშვის მხრიდან დაზუსტების მოთხოვნაზე ან მის სხვა საჭიროებებზე.

ბ. ფიზიკური დაზიანების არ არსებულ აღწერებზე (მართებულია იყოს მხარდამჭერი)

გ. რეზისტენტულობა/წინააღმდეგობა, უმოქმედობა (შეყოვნება, “არ ვიცი” პასუხები), უარყოფა, ემოციების გამოხატვა ან სტრესი.